

## კომბოსტოს ჭრაქი - *Peronospora brassicae*



სიმპტომები და გამომწვევი : აავადებს ჯვაროსანთა ყველა წარმომადგენელს. ფოთლებზე ვითარდება მკრთალი მოყვითალო ლაქები, რომლებზეც ქვედა მხრიდან თეთრი ფიფქი ვითარდება. ესაა კონიდიალური ნაყოფიანობა: დიქოტომიურად დატოტვილი კონიდიატარები მომრგვალო კონიდიუმებით. ოგამის შედეგად ივითარებს აგრეთვე ოოსპორებს. აქვს უჯრედშორისი მიცელიუმი. იწვევს ოომიცეტი სოკო. სათესლე მასალას აღმოცენების უნარს უკარგავს, ხოლო კომბოსტოს თავები ღებება.

ხელშემწყობი პირობები: ხელს უწყობს ჭარბი ტენიანობა და ხშირი ნათესები.